საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01/60

ქ. ბათუმი **23 დეკემბერი, 2022 წ.**

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N02 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 26 ნოემბრის სამსახურებრივი ბარათის (MES 2 22 0001505084 26/11/2022), ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 15 აპრილის MES 4 22 0000395855 15/04/2022 სამსახურებრივი ბარათის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 23 დეკემბრის სხდომის N07-02/11 ოქმისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითი საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის** დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N02 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, გადაწყვეტილების N1 დანართის (წესის):

ა) მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4. გამარჯვებული სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ სამართლებრივ აქტს გამოსცემს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სტუდენტური პროექტების საკონკურსო კომისიის მიერ წარმოდგენილი შედეგების გათვალისწინებით. სტუდენტური პროექტების განსახორციელებლად საჭირო (აუცილებელი) ფინანსური და მატერიალური რესურსების ხარჯვაზე და გამოყენებაზე გადაწყვეტილებას, ასევე საჭიროების შემთხვევაში პროექტით გათვალისწინებული აქტივობის შესრულების გადავადების ან გაუქმების/შეწყვეტის

ან/და ბიუჯეტში ცვლილების (შემცირების) შეტანის გადაწყვეტილებას იღებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რექტორთან შეთანხმებით, ამ პროექტის ხელმძღვანელის დასაბუთებული ინიციატივით და სტუდენტური პროექტების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის დასაბუთებული სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.";

ბ) მე-4 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. სტუდენტური პროექტის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებისათვის განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ (პროექტის დასრულების ვადა) პროექტის ხელმძღვანელი/პასუხისმგებელი პირი ვალდებულია უმოკლეს ვადაში რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე წარმოადგინოს პროგრამული და ფინანსური ანგარიში, როგორც ფიზიკურად, ასევე ელექტრონულად (სტუდენტური პროექტების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულთან კონსულტაციის გათვალისწინებით).".

2. 2022 წელს ჩატარებული და 2022 წლის ჩათვლით პერიოდში დასრულებული სტუდენტური პროექტების განხორციელების ვადების ცვლილების შესახებ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება გამოიცეს, როგორც გამონაკლისი და პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების (შრომის ანაზღაურების) გაცემა განხორციელდეს სტუდენტური პროექტების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება, ასევე გადაწყვეტილების მიხედვით მომზადდებული კოდიფიცირებული წესი, გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები" და ,,სტუდენტის გზამკვლევი").
4. წინამდებარე გადაწყვეტილება სტუდენტთათვის საჯარო გამოცხადების მიზნით გავრცელდეს ბსუ-ს პორტალის მეშვეობით.
5. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
6. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **ჯ. კარალიძე**